Norwegian Ministry of Foreign Affairs

ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების განვითარება

GCSD

ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრმა დაიწყო ოთხწლიანი მრავალშრიანი პროგრამა – **ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების განვითარება.**

საქართველო, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების ერთგული მხარდამჭერი, ისეთი დესტრუქციული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი რისკების წინაშე დგას, როგორებიცაა: ტერორიზმი, ძალადობრივი ექტრემიზმი და რადიკალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოწვევები საქართველოს უსაფრთხოების დღის წესრიგისათვის შედარებით ახალია, ისინი ქვეყნისათვის, უდავოდ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ საკითხებთან გამკლავება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობა და მათი გამკლავება უნდა მოხდეს საზოგადოების ერთობლივი ჩართულობით. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ საზოგადოების თითოეულმა სექტორმა საკითხზე საკუთარი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

სწორედ ამ რწმენით, GCSD-მ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც გულისხმობს მასში მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობას და მიზნად ისახავს საქართველოს ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის შესაძლებლობების ეტაპობრივ გაძლიერებას. გარდა ამისა, პროექტის მიზანია, ოთხწლიან პერიოდში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ერთიანი ჩართულობით გაზარდოს საზოგადოების მედეგობა ძალადობრივი ეექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის გამოვლინების ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ.

პროექტი აქცენტს აკეთებს ორ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებაზე: სახელმწიფო პოლიტიკის განზომილება და საზოგადოების ჩართულობა. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ჩაერთვებიან სხვადასხვა აქტორები ორი ძირითადი სამიზნე ჯგუფიდან: სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება.

პროექტის ფარგლებში ეტაპობრივად გაძლიერდება შემდეგი სახელმწიფო უწყებები:

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და მონიტორინგის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია (კომისია):

კომისია დაარსდა 2018 წელს და წარმოადგენს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიით (2019) გათვალისწინებული ყველა სახელმწიფო ძალისხმევის მაკოორდინირებელ ორგანოს. კომისიის მიზანია საქართველოს ერთიანი პოლიტიკის შემუშავება კონტრტერორიზმის სფეროში, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების შემცირება და პრევენცია; აგრეთვე, მას ევალება სახელმწიფო ორგანოების კონტროლი და კოორდინაცია. კომისიის შემადგენლობაში შედიან დარგობრივი სამინისტროები, ხოლო თავჯდომარეობას უწევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე. პროექტის ფარგლებში, GCSD უზრუნველყოფს კომისიის წამყვან წევრებზე მორგებულ ტრენინგ სესიებს, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. ამასთან, კომისიის წევრების მონაწილეობით მოეწყობა სასწავლო გასვლები პარტნიორ ქვეყნებში, სადაც ისინი შეძლებენ გაეცნონ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და კონტრტერორისტული სტრატეგიების დანერგვის საერთაშორისო გამოცდილებას.

ადგილობრივი სამთავრობო ორგანოები:

ადგილობრივი სამთავრობო ინსტიტუტები, როგორც სამთავრობო შრე, რომელიც პირველი მოდის შემხებლობაში რადიკალიზაციის შემთხვევებთან, უნდა იქცნენ სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ფენომენის წინააღმდეგ გატარებული თითოეული ქმედების თანამონაწილედ. შესაბამისად, GCSD-ის მრავალშრიანი მიდგომა უპირობოდ მოიაზრებს პროექტში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტრენინგ ცენტრი:

ცენტრი ამზადებს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს. აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ქვეყანაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესების წარმართველ მთავარ ორგანოს. საუკეთესო საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით GCSD შეიმუშავებს კურიკულუმს, რომელიც უზრუნველყოფს მომავალი და არსებული სამართალდამცავი ოფიცრების აღჭურვას იმ უნარებითა და ცოდნით, რომელიც აუცილებელია რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ფენომენის სიღმისეული გააზარებისათვის. კურიკულუმი გადაეცემა ტრენინგ ცენტრს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას. მიზნობრივი ტრენინგები ჩაუტარდებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრებსაც.

პარლამენტი:

ახალი სტრატეგიის დანერგვის პროცესზე საკანონმდებლო ორგანოს ზედამხედველობის ფუნქცია ძალიან მნიშვნელოვანია. პროექტის ფარგლებში, შესაბამისი კომიტეტების დონეზე მოხდება პარლამენტის წევრებისა და თანამშრომლების სათანადო გადამზადება და ტრენინგების, სემინარებისა და სასწავლო გასვლების დახმარებით მათი ცნობიერების ამაღლება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და მისი ადგილობრივი თავისებურებების შესახებ.

პროექტის ფარგლებში ეტაპობრივად გაძლიერდება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი შემდეგი ინსტიტუციები:

სამოქალაქო განათლების მასწავლებლები

სამოქალაქო განათლება წარმოადგენს გამაერთიანებელ ინსტრუმენტს მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული კომპონენტები სოციუმის ერთ მთლიანობაში ჩააქსოვოს. ამრიგად, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მიკუთვნებულობის განცდისა და საერთო ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. GCSD საქართველოს 5 რეგიონის (თბილისის ჩათვლით) პედაგოგებისთვის უზრუნველყოფს ინტენსიური გადამზადების სესიებს.

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები:

არასამთავრობო ორგანიზაციებს, როლებიც საქმიანობას ახორციელებენ დედაქალაქსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, მიეცემათ შესაძლებლობა შექმნან და დანერგონ ძალადობრივი ექსტრემიზმითა და რადიკალიზაციით გამოწვეული საფრთხეების გააზრებისა და შემცირებისკენ მიმართული პროექტები. ქვე-გრანტების მექანიზმით GCSD, ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებულ პროექტებს, სამოქალაქო დიალოგს, ახალგაზრდულ ბანაკებს, სასწავლო გასვლებსა და ახალგაზრდების ჩართულობასა და გაძლიერებას. საერთო ჯამში, GCSDმიზნად ისახავს აღნიშნული შინაარსის პროექტებისათვის გასცეს 10 ქვე-გრანტი.

მედია

რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექტრემიზმთან დაკავშირებულ პროცესებში რთულია გვერდი აუარო მედიის როლს. მედია აყალიბებს მოსაზრებებს, ავრცელებს ინფორმაციას და ასახავს საზოგადოების დამოკიდებულებებს. იგი ღრმად აღწევს მიმღები აუდიტორიის ცნობიერებაში და ეფექტურად მართავს მათ შეხედულებებს. მედია საშუალებებსა და სფეროს წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის შესახებ. ამ მიზნით, GCSD ჩაატარებს 4 ატივობას, მათ შორის რეალობის სიმულაციურ აქტივობებს.

უნივერსიტეტები

უნივერსიტეტები წარმოადგენენ ნებისმიერი საზოგადოების ინტელექტუალურ ბირთვს. შესაბამისად, შორსმიმავალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროექტში მათი ჩართვა. GCSD უზრუნველყოფს ხანგრძლივ პარტნიორობას და შექმნის მდგრად შესაძლებლობებს, რათა უნივერსიტეტები იქცნენ ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის კონცეფციებისა და შესაძლებლობების შესწავლის ფორუმად და ასევე, მათ შეძლონ ამ დარგის მომავალი სპეციალისტებისა და მეცნიერების აღზრდა.

სტრატეგიული კომუნიკაციების ალტერნატიული ნარატივების უზრუნველსაყოფად:

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ახალი სტრატეგიის მიხედვით, ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ გავრცელებული მიმართვების გადასაფარად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ალტერნატიული ნარატივების მიწოდება. . კომისიაში შემავალ შესაბამის სამინისტროებთან პარტნიორობით, GCSD იმუშავებს ალტერნატიული ნარატივების მატრიცის შექმნასა და განვითარებაზე. ყურადღება გამახვილდება ნარატივებზე, რომლებიც შეეხება, როგორც პოტენციურ უცხოელ ტერორისტ მებრძოლებს, ასევე მემარჯვენე/ნეო-ნაცისტურ დაჯგუფებებს. ეს კიდევ უფრო დაგვეხმარება მხარი დავუჭიროთ სახელმწიფო ინსტიტუტებს, განახორციელონ ეფექტიანი სტრატეგიული კომუნიკაციები რადიკალური მოძრაობებისა და ჯგუფების მიერ წარმოებული ძალადობრივი იდეებისა და სიძულვილის შემცველი კამპანიების წინააღმდეგ. მატრიცა შემუშავდება GCSD-ის გუნდის, კომუნიკაციისა და სოციოლოგიის ექსპერტებისა და ფსიქოლოგების თანამშრომლობით.

Norwegian Ministry of Foreign Affairs

საზოგადოების ხმა

GCSD დაიწყებს 2 წლიან აქტიურ სოციალური მედია კამპანიას, რომელიც გულისხმობს წარმატების ისტორიების პოპულარიზაციას იმ სივრცეებიდან, რომლებიც ხასიათდება რადიკალიზაციისკენ მიდრეკილებით ან მსგავსი შემთხვევებით. ეს იქნება პროგრამისა და დაინტერესებული მხარეების დამატებითი მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ალტერნატიული პოზიტიური ნარატივების გაძლიერებას და ძალადობრივ განცხადებებზე რეაგირებას. პროექტის ექსპერტთა გუნდი, რომელიც შედგება კომუნიკაციის სპეციალისტებისა და შესაბამისი ცოდნის მქონე პირებისაგან, ზედამხედველობას გაუწევს სოციალური მედია კამპანიის განხორციელების პროცესს.

GCSD

დასკვნითი კონფერენცია საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით

GCSD ჩაატარებს საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც იქნება ერთგვარი პლატფორმა, სადაც განიხილება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ისევე როგორც პროექტის განხორციელებისას გამოკვეთილი ტენდენციები.